

Meaning and Importance of Language in Hegel's Philosophy and its Transformations in the Soviet Times

ენის რაობისა და მნიშვნელობის შესახებ ჰეგელის ფილოსოფიაში და მისი ტრანსფორმაციები საბჭოთა რეალობაში

Nino Rodonaia – ნინო როდონაია

I Ilia State University, Georgia

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

Résumé : Le représentant de l'idéalisme allemand, Hegel, estime que la langue, comme acte d'intellectualité, a pour fondement la pensée. La langue est une catégorie absolument nécessaire pour la pensée et, de ce fait, elle est toujours analysée en rapport avec la pensée. La langue, en plus d'être reliée à la pensée humaine, a également la fonction de lier « Je » avec l'« Autre ». Par conséquent, la langue, pour Hegel, appartient toujours à une certaine nation.

Les marxistes soviétiques ont complètement déformé et politisé la philosophie de Hegel. Tout en interprétant du point de vue marxiste la compréhension hégélienne du rapport entre la pensée et la réalité, ils ont attribué à la langue le statut de superstructure. À l'époque soviétique, cette période est liée à la théorie linguistique de Nicholas Marr. Même si, dans les années 1950, Staline a mis fin à cette époque, cela n'a jamais contribué au processus de libération de la théorie linguistique ou de la philosophie de Hegel d'une idéologie.

Mots-clés : philosophie; Hegel; Marx; marxisme soviétique; Marr; Staline; langue

თეზისები: გერმანული იდეალიზმის წარმომადგენელი, ჰეგელი, მიიჩნევს, რომ ენა, როგორც ინტელექტუალობის ქმედება, აზროვნებას ეფუძნება. ენა აზროვნებისთვის აუცილებელი კატეგორიაა და, თავის მხრივ, ის მხოლოდ აზროვნებასთან კავშირში მოიაზრება. ენას, გარდა იმისა, რომ ის ადამიანის აზროვნებასთანაა მიმართებაში, ასევე «მე-ს» სხვასთან დამაკავშირებელი ფუნქციაც აქვს. შესაბამისად, ჰეგელისათვის ენა ყოველთვის რომელიმე ხალხის ენად მოიაზრება.

საბჭოთა მარქსისტებმა ჰეგელის ფილოსოფიის სრული გაყალბება და პოლიტიზება მოახდინეს. მათ, ჰეგელიანური აზროვნებისა და სინამდვილის მიმართების მარქსისტული ინტერპრეტაციის გზით, ენას ზედნაშენის ფუნქცია მიანიჭეს. საბჭოთა პერიოდის ენათმეცნიერებაში ეს პერიოდი ნიკო მარის თეორიას უკავშირდება. ეს ეპოქა 50-იან წლებში სტალინმა დაასრულა, თუმცა ამას ენათმეცნიერების ან ჰეგელის ფილოსოფიის საბჭოთა იდეოლოგიისგან განთავისუფლება არ მოჰყოლია.

საკვანძო სიტყვები: ფილოსოფია, ჰეგელი, მარქსი, საბჭოთა მარქსიზმი, მარი, სტალინი, ენა



სტატია შედგება ორი ნაწილისგან. პირველი ნაწილი ეხება ჰეგელის განაზრებებს ენის რაობაზე, მსჯელობას იმის შესახებ, თუ, ზოგადად, რა ადგილი და მნიშვნელობა აქვს ენას მის ფილოსოფიურ სისტემაში; მეორე ნაწილში განვიხილავ საკითხს, როგორ მოახდინეს საბჭოთა მარქსიზმის ორთოდოქსმა მოაზროვნეებმა ჰეგელის ფილოსოფიის, მათ შორის ენის შესახებ მოსაზრებების ტრანსფორმირება და როგორ აღმოჩნდა ჰეგელის ფილოსოფია მარქსისა და საბჭოთა მარქსიზმის მეშვეობით საბჭოთა სივრცის კონსტრუირების სამსახურში.

ენის ჰეგელისეული გაგებისთვის

გონის ფილოსოფიაში, რომელიც 1830 წლით თარიღდება, ჰეგელი წერს:

ნიშანს და ენას, ჩვეულებრივ, დანამატის სახით ჩაჩრიან ხოლმე სადმე ფსიქოლოგიაში ან ლოგიკაში ისე, რომ სრულებით არ უფიქრდებოდნენ მის ადგილს ინტელექტუალობის ქმედებათა სისტემის კონტექსტში¹.

ამ პასაჟიდან ცხადი ხდება ორი მნიშვნელოვანი დეტალი: 1. რომ ჰეგელისთვის ენის როლი უფრო არსებითია, ვიდრე ეს მიაჩნდათ ხოლმე და 2. ამ მნიშვნელობას განაპირობებს ენის კავშირი «ინტელექტუალობის ქმედებებთან»². ინტელექტუალობა კი კავშირშია აზროვნებასა და გონებასთან. ჰეგელი, ისევე როგორც გერმანული იდეალიზმის ყველა სხვა წარმომადგენელი, მთელ თავის ფილოსოფიურ სისტემას გონების პრინციპებზე აფუძნებდა. გერმანული იდეალიზმის ეს ძირითადი იდეა სწორედ ჰეგელმა განავითარა ყველაზე სრულყოფილად: «გონება [...] ყველა რეალობის ერთიანობაა»³. ის თავისი ფილოსოფიური სისტემით ცდილობს აჩვენოს, რომ სინამდვილის ნებისმიერი გამოვლინება მიემართება გონებას იმ აზრით, რომ ის პრინციპულად გონებით მოაზრება. თუმცა, ჰეგელთან ცოდნა იმთავითვე მოცემული კი არ არის, არამედ მისაღწევია.

ჰეგელის მკვლევრებს შორის არ არსებობს ერთიანი აზრი ჰეგელის ფილოსოფიაში ენის ადგილის შესახებ. ამ ადგილის განსაზღვრის სირთულე, ცხადია, იმასთანაა დაკავშირებული, რომ ჰეგელს ენის ფილოსოფია ცალკე სფეროდ არ გამოუყვია, როგორც მან ეს ისტორიის ფილოსოფიის ან რელიგიის ფილოსოფიის შემთხვევაში გააკეთა. საქმე ის გახლავთ, რომ ჰეგელს, ისევე როგორც უფრო ადრე ლაიბნიცსა და კანტს, ენის ფილოსოფია ჯერ არ ჰქონდა გააზრებული ფილოსოფიის სფეროში

¹ გეორგ ვილჰელმ ფრიდრიხ ჰეგელი, *გონის ფილოსოფია*, თბილისი, მეცნიერება, 1984, გვ. 254.

² *Ibid.*

³ Dina Emundts, Rolf-Peter Horstmann, *G.W.F. Hegel. Eine Einführung*, Stuttgart, Reclam, 2002, გვ. 10.

შემაჯალ დამოუკიდებელ ნაწილად¹. ამიტომ ჰეგელის მოსაზრებები ენის შესახებ მის სხვადასხვა ნაშრომებშია გაფანტული. თუმცა, ეს «ფრაგმენტულობა» ენის განხილვისას არ ნიშნავს, რომ ჰეგელისთვის ენის საკითხი ნაკლებ აქტუალურია.

ენის შესახებ ჰეგელი მსჯელობს ჯერ იენის 1803/04 წლების ლექციებში, შემდეგ 1807 წელს გამოცემულ *გონის ფენომენოლოგიაში* და *ფილოსოფიურ მეცნიერებათა ენციკლოპედიის* მესამე ნაწილში, *გონის ფილოსოფიაში*. ამ ნაშრომებიდან, ენის განხილვის თვალსაზრისით, ყველაზე არსებითად *გონის ფილოსოფია* მიიჩნევა. შესაბამისად, ჩემს სტატიაში ძირითადად ამ ნაშრომს დავყვრდნობი.

სტატიის მიზნებიდან გამომდინარე, ჰეგელის ფილოსოფიურ სისტემაში ენის შესახებ საუბრისას ყურადღებას გავამახვილებ მხოლოდ ორ საკითხზე:

- ენის ადგილი ჰეგელის *გონის ფილოსოფიაში*;
- რა კავშირშია ენა აზროვნებასთან.

გონის ფილოსოფიის პირველ ნაწილში ჰეგელი ენის შესახებ მსჯელობს იმ ადგილას, სადაც წარმოსახვიდან (§455) მეხსიერების (§461) გავლით აზროვნებაზე (§ 465) გადასვლა ხდება.

ციტატა ჰეგელის ნაშრომიდან:

ენას აქ ვიხილავ მხოლოდ მისთვის, როგორც ინტელექტუალობის პროდუქტისათვის, საკუთრად დამახასიათებელი გარკვეულობის მხრივ, სახელდობრ, იმ გარკვეულობის მხრივ, რომ იგი ინტელექტუალობისეულ წარმოდგენებს გარეგან სტიქიაში აცხადებს².

ანუ ენა ჰეგელისთვის მნიშვნელოვანია, როგორც ინტელექტუალობის ქმედების გამომხატველი. გარდა ამისა, ჰეგელი

¹ შდრ. Josef Simon, «In Namen denken. Sprache und Begriff bei Hegel», dans *Hegel: Zur Sprache. Beiträge zur Geschichte des europäischen Sprachdenkens*, Hrsg. von Bettina Lindorfer und Dirk Naguschewski, Tübingen, Gunter Narr Verlag, 2002, გვ. 33.

² გეორგ ვილჰელმ ფრიდრიხ ჰეგელი, *op. cit.*, გვ. 255.

ენას აზროვნების ფორმად მიიჩნევს და სწორედ ამიტომ ამ ნიშნით განიხილავს მას თავის ფილოსოფიურ სისტემაში. უფრო მეტიც, ჰეგელისათვის «ის, რისი სიტყვით გამოთქმაც შეუძლებელია, ფილოსოფიად ვერ იქცევა»¹.

ამ ეტაპზე მნიშვნელოვანია, რომ განვმარტოთ, რას ნიშნავს ინტელექტუალობა და ინტელექტუალობის ქმედება. გონის ფილოსოფიის ფსიქოლოგიის ნაწილში ჰეგელი აღწერს გონის მიერ საკუთარი თავის შემეცნების პროცესს, რომელიც სხვადასხვა საფეხურს გადის. აქ ნაშრომის მხოლოდ იმ ნაწილზე გავამახვილებ ყურადღებას, რომელიც ჰეგელის ფილოსოფიაში ენის მნიშვნელობის ასახსნელად არის საჭირო. ჰეგელი წერს: «გონი საქმეს იწყებს თავისივე ყოფიერებით და მიმართება აქვს მხოლოდ თავისსავე განსაზღვრებებთან»². საუბარია გონის წინსვლაზე, რომელსაც ჰეგელი განვითარებას უწოდებს. განვითარების მიზანი და შიდაარსი თვით გონშივეა მოცემული და განვითარებით მხოლოდ გონის შიგნით არსებულის სინამდვილეში გატანა და კვლავ უკან დაბრუნება ხორციელდება.

გონის ეს წინსვლა განვითარებაა, რამდენადაც მის არსებობას – ცოდნას – თავისთავშივე აქვს თავის შიდაარსად და მიზნად თავისთავად-და-თავისთვის-განსაზღვრულადყოფნა, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, შიდაარსად და მიზნად გონებითი აქვს. მამასადამე, ამ შიდაარსისა და მიზნის სინამდვილეში გადაყვანის ქმედება წარმოადგენს მის მხოლოდ ფორმალურ გადასვლას თავის მანიფესტაციაში და მასში (ამ მანიფესტაციაში) კვლავ თავის თავში შემოქცევას³.

აღმოჩნდება, რომ გონის განვითარების გზაზე ინტელექტუალობის ქმედება ჰეგელისთვის გონების პოვნას ნიშნავს და, შესაბამისად, ინტელექტუალობის ქმედება გონის წინსვლის პროცესში მისი, გონის, შიდაარსის გამოხატვაა:

¹ Josef Simon, *op. cit.*, გვ. 35.

² გეორგ ვილჰელმ ფრიდრიხ ჰეგელი, *op. cit.*, გვ. 217.

³ *Ibid.*, გვ. 221.

მის [ინტელექტუალობის] ქმედებას საქმე აქვს ცარიელ ფორმასთან, – გონების პოვნასთან. ინტელექტუალობის მიზანია, რომ მისი ცნება მისთვის იყოს, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, იგი [ინტელექტუალობა] გონება იყოს თავისთვის, რითაც, ამასთან ერთადვე, მისი შიდაარსიც მისთვის გონებითი ხდება. ეს ქმედება შემეცნებაა¹.

ინტელექტუალობა საგნის გონებით არსს წვდება, ამ გზით ობიექტურ ცოდნას აღწევს და ასე გახდება თავად შემეცნება:

ინტელექტუალობა განმარცვავს საგანს, შემთხვევითობის ფორმას, სწვდება მის გონებითს ბუნებას, ამ გზით ამ უკანასკნელს სუბიექტურად დაადგენს და ამითვე, ამავე დროს, პირველ – სუბიექტურობას ობიექტური გონებითის ფორმად აყალიბებს. ასე იქცევა იმთავით აბსტრაქტული, ფორმალური ცოდნა კონკრეტულ, ჭეშმარიტი შინაარსით შევსებულ, მაშასადამე – ობიექტურ ცოდნად. ინტელექტუალობა რომ ამ მიზანს მიაღწევს, [...] იგი შემეცნებაა².

საუბარია იმაზე, რომ საკუთარი თავის შემეცნებელი გონის საგანს ინტელექტუალობა წარმოადგენს, ანუ ინტელექტუალობა

გონის იმ ფორმად დგინდება, რომელშიც თვით იგი [ინტელექტუალობა] ცვლის საგანს და ამ უკანასკნელის განვითარებით თვით ვითარდება ჭეშმარიტებისაკენ. საგანს რომ გარეგანიდან შინაგანად აქცევს, ამით ინტელექტუალობა თავის თავს იშინაგანებს³.

და რადგანაც, როგორც ვხედავთ, ინტელექტუალობა თვითონვე თავისი თავის საგანი, ამიტომ აქ განვითარება ნიშნავს, რომ ინტელექტუალობა «თავის თავს იშინაგანებს⁴» და, შესაბამისად, გარეგან საგანს აქცევს შინაგანად. «საბოლოოდ კი ინტელექტუალობა აზროვნებას ემთხვევა⁵.» ამიტომ

ინტელექტუალობა მცნობელია. [...] მან იცის, რომ, რაც იაზრება, ის არის და რაც არის, არის მხოლოდ იმდენად, რამდენადაც იგი აზრია

¹ *Ibid.*, გვ. 227.

² *Ibid.*, გვ. 230.

³ გეორგ ვილჰელმ ფრიდრიხ ჰეგელი, *op. cit.*, გვ. 230.

⁴ *Ibid.*, გვ. 230.

⁵ Hegel-Lexikon, Hrsg. Paul Goebben, Darsmtadt, WBG, 2006, გვ. 277.

(შდრ. §5, 21) – არის თავისთვის; ინტელექტუალობის აზროვნება აზრთა ქონაა. აზრები არიან როგორც მისი შინაარსი და საგანი¹.

მაშასადამე, ინტელექტუალობის შინაარსს აზრები წარმოადგენენ, ხოლო მისი არსი აზროვნებაა. ენა, როგორც ინტელექტუალობის ქმედება, ეფუძნება აზროვნებას, მაგრამ არა პირიქით, თუმცა ენა აზროვნებისთვის ძალზე აუცილებელი კატეგორიაა და, თავის მხრივ, ის მხოლოდ აზროვნებასთან კავშირში განიხილება. ეს კავშირი არსებითია ჰეგელთან ენის რაობის გასაგებად. ენას, გარდა იმისა, რომ ის ადამიანის აზროვნებასთანაა დაკავშირებული, ასევე «მე»-ს «სხვა»-სთან დამაკავშირებელი ფუნქციაც აქვს.

ამის შესახებ ჰაბერმასი წერს: «თუმცა ჰეგელი გონის ინტერსუბიექტურობის ფარგლებში ეხება «მე»-სა და «სხვის» დიალექტიკას, სადაც «მე» კომუნიკაციაშია არა საკუთარ თავთან, როგორც საკუთარ სხვასთან, არამედ «მე» კომუნიცირებს სხვა «მე»-სთან, როგორც «სხვა»-სთან².» ჰაბერმასი განაგრძობს: ჰეგელთან

ენა პირველი კატეგორიაა, რომლის მეშვეობითაც გონი მოიაზრება არა როგორც რაღაც შინაგანი, არამედ როგორც საშუალება, რომელიც არც შინაგანია და არც გარეგანი. მის [ენის] შიგნით გონი სამყაროს ლოგოსად გვევლინება და არა მარტოხელა თვითცნობიერების რეფლექსიად³.

მაშასადამე, ენა ჰეგელთან ერთგვარი «გამაშუალებელია» ინდივიდებს შორის. ის ისეთ ველს ქმნის, რომელშიც ინდივიდის ცნობიერება საყოველთაო აღიარებას ეძებს. ასე ხერხდება ინდივიდებს შორის ურთიერთმადიარებელი ურთიერთობის ჩამოყალიბება. ენა, ერთი მხრივ, არის ადამიანსა და აზროვნებას

¹ გეორგ ვილჰელმ ფრიდრიხ ჰეგელი, *op. cit.*, გვ. 264.

² შდრ. Jürgen Habermas, *Technik und Wissenschaft als «Ideologie»*, Frankfurt a.M., Suhrkamp Verlag, 1969, გვ. 13.

³ *Ibid.*, p. 25.

შორის გამაშუალებელი ფუნქციის მქონე და, მეორე მხრივ, ენა მრავალ «მე»-ს აკავშირებს ერთმანეთთან. ამგვარად აიხსნება ის ფაქტი, რომ ჰეგელი ენას ყოველთვის რომელიმე ხალხის ენად იაზრებს: «ენა არსებობს როგორც მხოლოდ რომელიმე ხალხის ენა, ზუსტად ასევე განსჯა და გონება. ენა გონის იდეალურ არსებობად იქცევა მხოლოდ მაშინ, როცა ის რომელიმე ხალხის ენაა, რომელზეც ის აზრს გამოხატავს, რაც მისი არსი და არსებობაა¹.»

ამ ეტაპზე მივადექით ჰეგელის ფილოსოფიაში ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან საკითხს – გონებისა და სინამდვილის ურთიერთმიმართების შესახებ. ჰეგელი თავის *სამართლის ფილოსოფიაში* და ფილოსოფიურ მეცნიერებათა ენციკლოპედიის პირველ ნაწილში, *ლოგიკის მეცნიერებაში*, წერს: «ის, რაც გონიერია, ნამდვილია და რაც ნამდვილია, ის გონიერია².» ცხადია, ჰეგელი სინამდვილის გონებით გააზრების შესაძლებლობას გულისხმობს და ნაშრომში *ლოგიკის მეცნიერება* აზროვნების კანონებზეა საუბარი. ჩემი აზრით, აქ ერთგვარი ანალოგია იკვეთება. კერძოდ, ჰეგელი იმ დაშვებიდან ამოდის, რომ სინამდვილე გონიერია და ამიტომ არის შესაძლებელი მისი გონებით მოაზრება. დიალექტიკური მეთოდი, რომელსაც ჰეგელი ქმნის, პირველ რიგში, აზროვნებიდან ამოდის. ეს დაზუსტება განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ხდება, როდესაც ჰეგელის ფილოსოფიის საბჭოთა ინტერპრეტაციაზე ვსაუბრობთ.

ენის ჰეგელისეული გაგების ტრანსფორმაციები საბჭოთა რეალობაში ისე მოხდა, რომ ჰეგელის ზემოთმოყვანილი ფრაზა, მარქსის მეშვეობით და საბჭოთა მარქსიზმის ორთოდოქსი წარმომად-

¹ Georg Wilhelm Friedrich Hegel, *Jener Systementwürfe I*, Hamburg, Felix Meiner Verlag, 1986, გვ. 226.

² გეორგ ვილჰელმ ფრიდრიხ ჰეგელი, *ლოგიკის მეცნიერება*, თბილისი, საბჭოთა საქართველო, 1962, გვ. 48.

გენლების დამსახურებით, განსაკუთრებით სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა საბჭოთა სივრცეში. მარქსი *კაპიტალში* წერს:

ჩემი დიალექტიკური მეთოდი თავის საფუძველში არა მარტო განსხვავდება ჰეგელის მეთოდისაგან, არამედ წარმოადგენს მის პირდაპირ წინააღმდეგობას. ჰეგელისათვის აზროვნების პროცესი, რომელსაც იგი იდეის სახელწოდებით დამოუკიდებელ სუბიექტადაც კი ხდის, არის დემიურგი (შემოქმედი) სინამდვილისა, რომელიც მის მხოლოდ გარეგან გამოვლინებას შეადგენს. ჩემთვის, პირიქით, იდეალური სხვა არაფერია, თუ არა მატერიალური, ადამიანის თავში გადატანილი და მასში გარდაქმნილი¹.

მარქსის მოცემული ციტატა გულისხმობს ჰეგელის ფრაზის «ის, რაც გონიერია, ნამდვილია და რაც ნამდვილია, ის გონიერია,» ერთგვარ გადაბრუნებას. თუ ჰეგელისთვის ამოსავალი გონებაა, მარქსისთვის ამოსავალი არის სინამდვილე, მატერიალური. მარქსი, მართალია, აღიარებდა ჰეგელის დამსახურებას დიალექტიკური მეთოდის ჩამოყალიბებაში, მაგრამ ერთიმნიშვნელოვანი შესწორებით:

მისტიფიკაციას, რომელიც დიალექტიკამ ჰეგელის ხელში განიცადა, სრულიად არ შეუშლია ხელი იმისათვის, რომ პირველად სწორედ ჰეგელმა წარმოგვიდგინა ამომწურავად და შეგნებულად დიალექტიკის მოძრაობის ზოგადი ფორმები. ჰეგელის დიალექტიკა თავდაყირა დგას. საჭიროა იგი გადმოვაციროთ, რათა მისტიკურ გარსს შიგნით რაციონალური მარცვალი აღმოვაჩინოთ².

მარქსის ნაშრომიდან ამ პასაჟს ხშირად იმოწმებდნენ საბჭოთა პერიოდში, მათ შორის სტალინიც თავის 1938 წელს გამოცემულ ნაშრომში *ისტორიული და დიალექტიკური მატერიალიზმის შესახებ*. ეს ნაშრომი სახელმწიფო იდეოლოგიად და ოფიციალურ დოქტრინად იქცა. ჰეგელის ფილოსოფია, უფრო სწორად, მისი დიალექტიკური მეთოდი, საბჭოთა ორთოდოქს მარქსისტთა ხელში ტრანსფორმირდა და გავრცელდა «საზო-

¹ კარლ მარქსი, *კაპიტალი*, ტ. I, საქართველოს სსრ სახელმწიფო გამომცემლობა, 1954, გვ. 23.

² *Ibid.*

გადოებრივი ცხოვრების შესწავლაზე [...] საზოგადოების ისტორიის შესწავლაზე¹» და დიდი მნიშვნელობა მიენიჭა.

ძნელი გასაგები არ არის, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს დიალექტიკური მეთოდის დებულებათა გავრცელებას საზოგადოებრივი ცხოვრების შესწავლაზე, საზოგადოების ისტორიის შესწავლაზე, რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს ამ დებულებათა გამოყენებას საზოგადოების ისტორიის მიმართ, მათ გამოყენებას პროლეტარიატის პარტიის პრაქტიკულ მოღვაწეობაში².

სტალინი მიიჩნევს, რომ ამგვარი მიდგომით საზოგადოების შესახებ მეცნიერება სიზუსტეს შეიძენს³.

საბჭოთა ორთოდოქსმა მარქსისტებმა ჰეგელის ფილოსოფიური სისტემა, განსხვავებით მისი დიალექტიკური მეთოდისაგან, ფუჭ და ნაგავსაყრელზე გადასაგდებ თეორიად მიიჩნიეს. თუმცა, ჰეგელის დიალექტიკური მეთოდიც «ფეხზე იყო დასაყენებელი». საბჭოთა ორთოდოქსი მარქსისტებისთვის ეს ნიშნავდა იმას, რომ

წარმოების როგორი წესიცა აქვს საზოგადოებას, ისეთივეა, ძირითადად, თვით საზოგადოებაც, ისეთივეა მისი იდეები და თეორიები, პოლიტიკური შეხედულებები და დაწესებულებები. [...] რანაირიცაა ადამიანთა ცხოვრება, იმნაირივეა მათი აზრები⁴; [...] თუ ბუნება, ყოფიერება, მატერიალური სამყარო პირველადია, ხოლო ცნობიერება მეორადი, წარმოებული⁵,

მაშინ

საზოგადოების მატერიალური ცხოვრება, მისი ყოფიერება აგრეთვე პირველადია, მისი სულიერი ცხოვრება კი – მეორადი, წარმოებული, [...] საზოგადოების მატერიალური ცხოვრება არის ობიექტური რეალობა, ადამიანთა ნებისყოფისაგან დამოუკიდებლად არსებული, ხო-

¹ იოსებ სტალინი, *დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის შესახებ*, თბილისი, სახელგამი, პოლიტლიტერატურის სექტორი, 1951, გვ. 8.

² *Ibid.*, გვ. 20.

³ შდრ. *Ibid.*, გვ. 36.

⁴ *Ibid.*, გვ. 57-58.

⁵ *Ibid.*, გვ. 37.

ლო საზოგადოების სულიერი ცხოვრება არის ამ ობიექტური რეალობის ასახვა, ყოფიერების ასახვა¹,

და ა. შ.

სტალინი, როგორც ვხედავთ, ამოსავლად, პირველად და ობიექტურად მიიჩნევს ბუნებას, ყოფიერებას, მატერიალურ სამყაროს, ხოლო მეორადად, ან წარმოებულად, და პირველადის ასახვად – ცნობიერებას და სულიერ ცხოვრებას. ამ კონტექსტში ენა, ისევე როგორც ხელოვნება და მეცნიერება, მარქსის ტერმინებით თუ ვიტყვით, ზედნაშენია. ენა, რომელიც ჰეგელის ფილოსოფიაში აზროვნებასთან მყარ მიმართებაშია, საბჭოთა მარქსისტებისთვისაც მეორადი, მხოლოდ ზედნაშენი გახდა. ეს ერთგვარი «გადანაცვლება» სავსებით ლოგიკურად მოჰყვა გონებისა და სინამდვილისთვის ადგილების გადანაცვლებას, რომელსაც მარქსი მოითხოვდა.

საბჭოთა ხანის ტექსტებში ხშირად გვხვდება მრავალფეროვანი ვარიაციები იმ მოსაზრებისა, რომლის თანახმადაც, მატერიალურია პირველადი, ანუ ბაზისი და სულიერი მხოლოდ მეორადი, ანუ ზედნაშენი. თანაც, სულერთია, ეს ტექსტები რომელ სფეროს ეხება: ფილოსოფიისა და ბუნების შემსწავლელი მეცნიერების რაიმე საკითხს, ხელოვნებას, სპორტს თუ სხვას. სტალინის აღნიშნული ნაშრომის ოფიციალურ დოქტრინად აღიარება ხელს უწყობდა კარგად კონტროლირებადი, ცენტრალიზებული და ერთიანი სივრცის შექმნას. ამიერიდან მეცნიერებას (ხელოვნებისა და სპორტის დარად) ევალებოდა ჰარმონიაში ყოფილიყო ამ ოფიციალურ დოქტრინასთან. საბჭოთა ხელისუფლება აკონტროლებდა სასწავლო პროცესს და სამეცნიერო სფეროებს იდეოლოგიასთან მათი თანხმობის თვალსაზრისით. შესაბამისად, მეცნიერების ნებისმიერი დარგი იდეოლოგიზებული და პოლიტიზებული აღმოჩნდა.

¹ *Ibid.*

საბჭოთა სივრცე გაემიჯნა დასავლეთს და ახალი ურთიერთ-დაპირისპირებული ტერმინები შექმნა: «ბურჟუაზიული ფილოსოფია და საბჭოთა ფილოსოფია», «ბურჟუაზიული ხელოვნება და საბჭოთა ხელოვნება». ადამიანური ქმედების ყველა სფერო ემსახურებოდა და ექვემდებარებოდა პარტიის მიზნებს, თვით ადამიანისა და მისი პირადი მორალური სივრცის ჩათვლით, ხოლო პარტია თავად სახელმწიფო იყო. ყველასათვის არსებითი გახდა მოწოდება: «შენ არარა ხარ, შენი პარტიაა მნიშვნელოვანი¹.»

ამ გარემოებებმა, ცხადია, ენობრივ პოლიტიკაზეც იმოქმედა. ენა პარტიის მიზნების განხორციელებისთვის ისეთივე ინსტრუმენტად იქცა, როგორც ყველა სხვა სფერო. ერთიანი საბჭოთა ტერიტორიის შექმნის იდეას ბუნებრივად მოჰყვა ამ ტერიტორიაზე დასახლებული ადამიანებისთვის საერთო საკომუნიკაციო ენის არსებობის იდეაც. ცხადია, ასეთი ენა მხოლოდ რუსული შეიძლებოდა ყოფილიყო და ამიტომაც «რუსულ ენას საბჭოთა კავშირის შიგნით, სულ ცოტა *lingua franca*-ს სტატუსი ჰქონდა².»

ალბათ, მნიშვნელოვანია იმის გახსენებაც, რომ დოქტრინად აღიარებული სტალინის ზემომოყვანილი ტექსტი 1938 წელს ქვეყნდება და 1936-38 წლების «დიდი ტერორის» ან «დიდი წმენდის» პერიოდს ემთხვევა. ამ პერიოდიტვე შეგვიძლია დავათარილოთ ენობრივი რუსიფიკაციის პოლიტიკის განსაკუთრებული გაძლიერებაც: სკოლებში და უნივერსიტეტებში რუსული ენის სწავლების აუცილებლობისა და სახელმწიფო ინ-

¹ შდრ. Nikolaus Knoepffler, *Angewandte Ethik*, Köln Weimar Wien, Böhlau Verlag, 2009, გვ. 66.

² შდრ. Gunter Wälzholz, *Nationalismus in der Sowjetunion, Entstehungsbedingungen und Bedeutung nationaler Eliten*, Heft 8/1997, <http://www.oci.fu-berlin.de/politik/publikationen/AP08.pdf>, ნახ. 15 ივლისი, 2015 წ.

სტიტუციებში საქმეების რუსულ ენაზე წარმოების აუცილებლობის მოთხოვნა.

სტალინის ამ დოქტრინამ დაახლოებით 12 წელი იარსება. ამასთან კავშირში საინტერესოა ცნობილი ენათმეცნიერის, ნიკო მარის ენობრივი თეორიის ბედი, რომელიც ჰარმონიულად ერწყმოდა მე-20 საუკუნის პირველი ნახევრის საბჭოთა იდეოლოგიას, მაგრამ 1950 წელს სტალინმავე ის მცდარ თეორიად გამოაცხადა. ეს კარგი მაგალითია იმისა, თუ როგორ სიტუაციურად ერეოდა, განსაზღვრავდა და წყვეტდა ქვეყნის ბელადი, თავისი მიზნებიდან გამომდინარე, წმინდად სამეცნიერო დისკუსიებს.

თავდაპირველად ნიკო მარის თეორია, რომელიც ენას ზედნაშენად მიიჩნევდა და თვლიდა, რომ «კლასი წარმოადგენს დომინანტ კრიტერიუმს ენის განვითარების შეცნობისათვის¹», საბჭოთა მოხელეებს იდეოლოგიისთვის უსაფრთხოდ მიაჩნდათ. ამ თეორიასთან თანხმობაში იყო სტალინის მიერ 1930 წელს პარტიის მეთექვსმეტე ყრილობაზე წარმოთქმული სიტყვაც, რომლის მიხედვითაც, კომუნიზმის დროს ყველა ენა შეირწყმება და ერთ ენად იქცევა. მაშინ მარის თეორია საბჭოთა ენათმეცნიერებაში ერთადერთ ჭეშმარიტ მეცნიერულ თეორიად იყო მიჩნეული.

თუმცა, ეს ჰარმონია მხოლოდ 1950 წლამდე გაგრძელდა, ანუ მანამ, სანამ გახეთ *პრავდის* ფურცლებზე ცნობილი კამათი არ დაიწყო მარისტებსა და ანტიმარისტებს შორის. ეს საენათმეცნიერო დისკუსია ისევ სტალინის 1950 წელს გამოქვეყნებული ტექსტით დასრულდა: *ენათმეცნიერებაში მარქსიზმის შესახებ*. ტექსტში, რომელიც არარეალური, არშემდგარი და გამოგონი-

¹ ეთან პოლოკი, «სტალინი, როგორც მეცნიერების კორიფე: იდეოლოგია და ცოდნა ომის შემდგომ», კრებულში: *სტალინი. ძალაუფლება და იდეები*, თბილისი, გამომცემლობა არტანუჯი, 2015, გვ. 504.

ლი კითხვა-პასუხის ფორმითაა დაწერილი. კითხვაზე: «სწორია თუ არა, რომ ენა არის ბაზისის ზედნაშენი?», სტალინი სრულიად მოულოდნელად პასუხობს: «არა, არ არის სწორი!.¹» ამის შემდეგ ტექსტში ვხვდებით ვრცელ მსჯელობას, რომ ენა ინსტრუმენტია:

ენა [...] სწორედ იმისათვის არის შექმნილი, რომ ემსახურებოდეს მთელ საზოგადოებას, როგორც ადამიანთა ურთიერთობის იარაღი, [...] ენა [...] არ განსხვავდება წარმოების იარაღებისგან, ვთქვათ, მანქანებისგან, [...] ენა უშუალოდ არის დაკავშირებული ადამიანის საწარმოო საქმიანობასთან²,

და ა. შ.

კამათი გაზეთ *პრავდის* ფურცლებზე ერთ ხანს კიდევ გრძელდებოდა, მაგრამ ძალიან დამაბული და «უხერხული გახდა», რადგანაც «აღარ არსებობდა დისკუსიის გაგრძელების რაიმე მისაღები მეთოდი მას შემდეგ, რაც ოფიციალური დასკვნით იხურებოდა დისკუსია».³

სტალინის პოზიცია, ერთი შეხედვით, უფრო ახლოს დგას ჰეგელის პოზიციასთან, მიუხედავად იმისა, რომ ჰეგელს ტერმინები «ბაზისი» და «ზედნაშენი» საერთოდ არ გამოუყენებია. მაგრამ ამით სტალინს ის კი არ უღიარებია, რომ ენა, რადგანაც აზროვნებასთან აქვს მიმართება, ამიტომ მასთან ერთად პირველადია, მნიშვნელოვანია, არამედ მას, როგორც ეს ისტორიული რეალიებით უნდა ვივარაუდოთ, დასჭირდა მეცნიერებისთვის ახალი სულის შთაბერვა. მისთვის მეორე მსოფლიო ომის შედეგებითა და ცივი ომის დაწყებით გამოწვეული კრიზისის ფონზე ცხადი გახდა საბჭოთა იდეოლოგიის დასუსტება და ის, რომ იდეოლოგია და მეცნიერება აღარ იყვნენ ერთმა-

¹ იოსებ სტალინი, *მარქსიზმის შესახებ ენათმეცნიერებაში*, თბილისი, გამომცემლობა «კომუნისტი», 1950, გვ. 3.

² *Ibid.*, გვ. 6-9.

³ ეთან პოლოკი, *op. cit.*, გვ. 517.

ნეთთან სასურველ ჰარმონიაში. ამიტომ ის პირადად ერეოდა სამეცნიერო დისკუსიებში, იქნებოდა ეს ენათმეცნიერების, ეკონომიკის, ბიოლოგიის თუ სხვა სამეცნიერო სფეროები. სწორედ ამ დროს მოხდა მისი, როგორც «მეცნიერების კორიფეს», სტატუსის აქტუალიზაცია¹.

გაზეთ *პრავდაში* მიმდინარე ზემოაღნიშნული დისკუსიის შემდეგ ადმინისტრაციულ ცვლილებებში აისახა ახალი აქცენტი ეროვნული ენების, განსაკუთრებით, რუსული ენის მნიშვნელობის მიმართ. მეცნიერებათა აკადემიის ახალი ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორად რუსული ენის სპეციალისტი დაინიშნა, მისი მოადგილე გახდა რუსული და საეკლესიო სლავური ენის სპეციალისტი, რუსეთის ისტორიის ექსპერტი გახდა ამ დარგში მთავარი ჟურნალის რედაქტორი² და ა. შ.

ისე ჩანს, თითქოს სტალინისთვის გასაგები გახდა ენის მნიშვნელობა სწორედ იმ კუთხით, რომ ენას აზროვნებისა და ინტელექტუალობის ქმედებებთან აქვს საქმე, მაგრამ ისიც აშკარაა, რომ მთავარ ენა-ინსტრუმენტად ამისთვის მას რუსული ენა ესახებოდა. სტალინი ალბათ ვარაუდობდა, რომ საბჭოეთის უზარმაზარ ტერიტორიაზე ერთი იდოლოგიის გასატარებლად უფრო მოხერხებული იქნებოდა, ამ ტერიტორიაზე მცხოვრებ ადამიანებს ერთნაირად ეაზროვნათ, ამისთვის კი მათ ერთ ენაზე უნდა ემეტყველათ. სტალინის ეს ჩანაფიქრი საბჭოთა ხანაში რეალურად განხორციელდა და, გარკვეული თვალსაზრისით, ის დღესაც მუშაობს – ყოფილი საბჭოთა სივრცის მცხოვრებნი, უმეტესწილად ძველი თაობის წარმომადგენლები, რომელთაც საბჭოთა სკოლაში უსწავლიათ და რომელთათვისაც რუსული პირველი სავალდებულო ენა იყო

¹ შდრ. Ethan Pollock, «Stalin as the Coryphaeus of Science: Ideology and Knowledge in the Post-war Years», in *Stalin – A New History*, Edited by Sarah Davies and James Harris, Cambridge University Press, 2005, გვ. 271-273.

² შდრ. ეთან პოლოკი, *op. cit.*, გვ. 512.

მშობლიურის შემდეგ, ერთმანეთთან დღესაც ძირითადად რუსულ ენაზე ურთიერთობენ. უნდა ვივარაუდოთ, რომ რუსულის მეშვეობით შეთვისებული იდეოლოგიური კლიშეები დღესაც მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ამ ადამიანთა საზოგადოებრივ ცნობიერებას პოსტსაბჭოთა ქვეყნებში.

ბიბლიოგრაფია

- მარქსი, კარლ, *კაპიტალი*, ტ. I, საქართველოს სსრ სახელმწიფო გამომცემლობა, 1954.
- პოლოკი, ეთან, «სტალინი, როგორც მეცნიერების კორიფე: იდეოლოგია და ცოდნა ომის შემდგომ», კრებულში: *სტალინი. ძალაუფლება და იდეები*, თბილისი, გამომცემლობა არტანუჯი, 2015.
- სტალინი, იოსებ, *დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის შესახებ*, თბილისი, სახელგამი, პოლიტლიტერატურის სექტორი, 1951.
- სტალინი, იოსებ, *მარქსიზმის შესახებ ენათმეცნიერებაში*, თბილისი, გამომცემლობა «კომუნისტი», 1950.
- ჰეგელი, გეორგ ვილჰელმ ფრიდრიხ, *გონის ფილოსოფია*, თბილისი, მეცნიერება, 1984.
- ჰეგელი, გეორგ ვილჰელმ ფრიდრიხ, *ლოგიკის მეცნიერება*, თბილისი, საბჭოთა საქართველო, 1962.
- Cobben, Paul (Hrsg.), *Hegel-Lexikon*, Darsmtadt, WBG, 2006.
- Emundts, Dina, Horstmann, Rolf-Peter, *G.W.F. Hegel. Eine Einführung*, Stuttgart, Reclam, 2002.
- Habermas, Jürgen, *Technik und Wissenschaft als «Ideologie»*, Frankfurt a.M., Suhrkamp Verlag, 1969.
- Hegel, Georg Wilhelm Friedrich, *Jener Systementwürfe I*, Hamburg, Felix Meiner Verlag, 1986.
- Knoepffler, Nikolaus, *Angewandte Ethik*, Köln Weimar Wien, Böhlau Verlag, 2009.
- Pollock, Ethan, «Stalin as the Coryphaeus of Science: Ideology and Knowledge in the Post-war Years», in *Stalin – A New History*, Edited by Sarah Davies and James Harris, Cambridge University Press, 2005.
- Simon, Josef, «In Namen denken. Sprache und Begriff bei Hegel», dans *Hegel: Zur Sprache. Beiträge zur Geschichte des europäischen Sprachdenkens*, Hrsg. von Bettina Lindorfer und Dirk Naguschewski, Tübingen, Gunter Narr Verlag, 2002.
- Wälzholz, Gunner, «Nationalismus in der Sowjetunion, Entstehungsbedingungen und Bedeutung nationaler Eliten», Heft 8/1997, <http://www.oei.fu-berlin.de/politik/publikationen/AP08.pdf>, ნახ. 15 ივლისი, 2015 წ.